საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალანდარიშვილი ოთარ დიმიტრის ძე

ო. კ ა ლ ა ნ დ ა რ ი შ ვ ი ლ ი. რუსთაველის მეტროს სადგურის ზედა პავილიონი. 1965.

კალანდარიშვილი ოთარ დიმიტრის ძე (16. VII. 1925, თბილისი, – 18. IX. 2003, იქვე), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1967). 1950 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია. 1951–2003 მუშაობდა „თბილქალაქპროექტში" არქიტექტორად, პროექტის მთ. არქიტექტორად, არქიტ. სახელოსნოს ხელმძღვანელად. გარდა შემოქმედებითი საქმიანობისა, ეწეოდა პედ. მოღვაწეობასაც თბილ. სამხატვრო აკადემიის არქიტ. ფაკტზე (1955– 77).

საკონკურსო პროექტები: ვახტანგ გორგასლის ძეგლი თბილისში, 1957, III პრემია (მოქანდაკე გ. კორძახია); საქართვ. კულტურული ცენტრი იერუსალიმში, 1997, წამახალისებელი პრემია (არქიტ. დ. მორბედაძესთან და ნ. ქუმსიაშვილთან ერთად). ნამუშევრები: პიონერთა და მოსწავლეთა (ამჟამად მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული) სასახლის ბაღის ჭედური ღობე (1952; არქიტ. დ. მორბედაძესთან ერთად); ინდივიდ. სააგარაკო სახლები დაბა წყნეთში (1953); მეტროს სადგ. „რუსთაველის მოედნის" ზედა პავილიონი (1965); სასტუმრო „ივერია" (ამჟამად „რედისონ-ივერია") თბილისში (1967; თანაავტორი არქიტ. ი. ცხომელიძე, სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია, 1972); შ. ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების განაშენიანება თბილისში – საცხოვრ. კომპლექსი „შატილი" (1974–76; არქიტ. გ. ფოცხიშვილთან ერთად); მემორიალი ქუთაისში (1978; მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი); რესპუბლიკის (ამჟამად პირველი რესპუბლიკის) მოედანი

და სამსართულიანი სავაჭრო-საზოგადოებრივი ცენტრი თბილისში (1982; არქიტ. გ. ფოცხიშვილთან ერთად); დავით აღმაშენებლის ძეგლი თბილისში (1998; მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).